საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №81

ქ. ბათუმი 26 ივლისი, 2018 წ.

„ბსუ-ს აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2017 წლის 15 ივნისის №37 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე–8 მუხლის საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. შევიდეს ცვლილება „ბსუ-ს აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2017 წლის 15 ივნისის №37 დადგენილებაში, კერძოდ, დადგენილებით დამტკიცებული წესის (დანართი) **მე–2 მუხლის მე–5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:**

„5. სადოქტორო პროგრამა 180 კრედიტის ოდენობით, წარმოადგენს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების ერთობლიობას, საიდანაც **60 კრედიტი** ეთმობა სასწავლო კომპონენტს, ხოლო დანარჩენი - სამეცნიერო-კვლევით კომპონენტს. პროგრამა მიზნად ისახავს სამეცნიერო კადრის მომზადებას და სრულდება დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებით.“

2. დადგენილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (კოდიფიცირებული ვერსია შესაბამის ველში).

3. დადგენილება დაეგზავნოს ბსუ-ს ფაკულტეტებს და სტრუქტურულ ერთეულებს.

4. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოც. პროფესორი **მერაბ ხალვაში**